კლასის მართვა

თამარ ჩანგაშვილი; თამარ ძიძიგური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე; ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

კლასის მართვა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პრობლემატური საკითხია დღევანდელ საგანმანმნათლებლო სფეროში. აქედან გამომდინარე ჩვენმა ჯგუფის წევრებმა (თამარ ჩანგაშვილი, თამარ ძიძიგური) გადავწყვიტეთ სწორედ ამ საკითხზე ჩაგვეტარებინა სამაგისტრო კვლევა. პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის 7^2 კლასში. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო კლასის მართვის პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მის საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა.

პრაქტიკული კვლევა მოიცავდა ლიტერატურის დამუშავებასა და მიმოხილვას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მეთოდოლოგიის შემუშავებას - გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები; პრობლემის მოკვლევას, მონაცემების ანალიზს, ინტერვენციების დაგეგმვას, დანერგვას და შეფასებას, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

მონაცემთა ანალიზისა და შედეგების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი ინტერვენციები: ქცევის წესების დადგენა, მოსწავლეთა უკუკავშირი - სასწავლო პროცესის შეფასების სისტემის დანერგვა, გაკვეთილის გეგმა. კვლევაში ჩართული მონაწილეებისა და ინტერვენციების შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, განხორციელებული ინტერვენციები წარმატებული აღმოჩნდა: გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, შეიცვალა სწავლების მეთოდები, მოსწავლეთა უკუკავშირმა მასწავლებელი დააფიქრა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე, ცვლილება სხვადასხვა აქტივობების სახით დაიგეგმა ინგლისურის გაკვეთილზე.